

21 მაისი
11 სთ

კონფერენციის გახსნა
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი,
აკადემიკოსი როინ მეგრეველი

მოგონებები

აკად. მარიამ ლორთქიფანიძე
აკად. ოთარ ჯაფარიძე
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო
მუზეუმის დირექტორი,
აკად. ლევან ჭილაშვილი
შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს.
ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი
პროფ. ნოდარ ლომოური

15 სთ

დავით ლომიგაშვილი (ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო
მუზეუმი) – “მე.წ. აღ-ის VIII-VII სს.-ის კომპლექსი ნოქალაქევიდან”.
ბესარიონ ლორთქიფანიძე (ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო
მუზეუმი) – “ნოქალაქევის ბაზილიკის დანგრევის თარიღისათვის”.
გურამ ყიფიანი (საქ. მეც. აკად.-ის მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია)
– “კერპთა ადგილი, სისგემა და ბუნება არმაზციხეზე”.
ნათელა ჯაბუა (თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა) –
“ქრისტიანული ეკლესიის არქიტექტურულ-სიბოლღური გაგების
საკითხისათვის”.
ხათუნა კაპანაძე (თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა) –
“ლიტურგიკა და ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება ადრე
ქრისტიანულ ხანაში”.

22 მაისი
11 სთ

ნინო მეგრეველი (თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა) –
“ახალი ქართული ხელოვნების განვითარების საკითხისათვის”.
სოფიო ქებურია (თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა) –
“სახარების ყდა – იკონოგრაფიული და სახვითი სპეციფიკა”.
იმოლდა ჭიჭინაძე (თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა) –
“მასხარებელთა გამოსახულებები პალეოლოგოსთა ხანის
მინიატურაში”.

ნინო ქავთარია (თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა) –
“კამარათა გაფორმება კალიპოსურ ხელნაწერებში”.
გიორგი ხოშგარია (საქ. მეც. აკადემიის გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული
ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი) – “პოსტმოდერნი და მხატვრული
მთლიანობის პრობლემა”.

15 სთ

ირინე ნიკოლეიშვილი (თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის
კათედრა) – “სხიერის კანკელის რეკონსტრუქციის ცდა
გამოსახულებათა იკონოგრაფიის მაგალითზე”.
ირაკლი იაკობაშვილი (საქართველოს პარლამენტის კვლევითი
დეპარტამენტი) – “საეკლესიო მუზეუმი თბილისში. დაფუძნება,
საქმიანობა და გაუქმება”.
ნანა ბურჭულაძე (შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო
მუზეუმი) – “იკონოგრაფიული ხასიათის შენიშვნები ქართულ
საეკლესიო ხელოვნების რამოდენიმე ცნობილ ძეგლზე”.
ნინო სიმონიშვილი (თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის
კათედრა) – “ნიკოპეის გიჰის ღვთისმშობლის გამოსახულება
აგენის სიონის აფსიდალურ დეკორში”.
ირინა კოშკორიძე (შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო
მუზეუმი) – “მუზეუმის მართვის დასავლური მოდელები და
მათი დანერგვის პერსპექტივები საქართველოში”.
ქეთევან კინწურაშვილი (საქ. მეც. აკადემიის გ.ჩუბინაშვილის სახ.
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი) – “ირაკლი
უარჯიანი – პოსტმოდერნისტი სკრიპტორი”.

23 მაისი
11 სთ

ირინა გივიშვილი, წინო ბაგრატიონი (თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა) – “შეგანი (იგივე ზაქი), რეკონსტრუქციის ცდა”.

ნინო სილაგაძე (თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა) – “ქართული “საფლავს ზედა” ეკლესიები და მათი პარალელები ახლო აღმოსავლეთში”.

ლიანა მამალაძე-ანთელავა (საქ. მეც. აკადემიის გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი) – “ეპოქათა შეხვედრა XX ს.-ის ქართულ ფერწერაში (ლ. ჭოღოშვილის შემოქმედების მაგალითზე)”.

ნინო გელეგანიშვილი (საქ. მეც. აკადემიის გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი) – “ირინა შტენბერგის XX ს.-ის 20-იანი წლების გრაფიკა”.

15 სთ

ნინო ხუნდაძე (თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა) – “დ. ერისთავის პორტრეტული შემოქმედება”.

ირინე აბესაძე (თბილისის კულტურის და ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი) – “შალვა ქიქოძის შემოქმედებითი მოღვაწეობის ახალი ასპექტები”.

თეა ურუშაძე (თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა) – “კოსტუმის პრობლემა 1920-30 წწ. ქართულ სცენოგრაფიაში (უ. შექსპირის “ოთელოს” მაგალითზე)”.

ქეთევან შავგულიძე (თბილისის სამხატვრო აკადემია) – “პროექცია-ნოვატორული მხატვრული ხერხი ე. ახვლედიანის შემოქმედებაში”.

მოსხენების ხანგრძლივობა – 20 წთ.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა

სამეცნიერო კონფერენცია ეძღვნება პარმენ ზაქარაიას ხსოვნას პროგრამა

2003 წლის 21-22-23 მაისი

კონფერენცია ჩატარდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში

(ი. ჭავჭავაძის გამზ. № 1)

თბილისი
2003





სელოვნებათმცოდნეობა

Study of Art

5

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა
DEPARTMENT OF ART HISTORY

სამეცნიერო შრომების კრებული

გამომცემლები

ირინა არსენიშვილი და ნინო სიმონიშვილი

COLLECTED PAPERS

Edited by

IRINA ARSENISHVILI AND NINO SIMONISHVILI

5

ხელოვნებათმცოდნეობა

STUDY OF ART



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
TBILISI UNIVERSITY PRESS
თბილისი - 2003 - TBILISI

სარედაქციო საბჭო:

ზაზა ალექსიძე (თბილისი)
ბრუს ალტშულერი (ნიუ იორკი)
მიხეილ ბეჟანიშვილი (თბილისი)
ლევან გორდეზიანი (თბილისი)
ბერნჰარდ ვალდენფელსი (ბოხუმი)
დიმიტრი თუმანიშვილი (თბილისი)
ქრისტოფ იამე (ლიუნებურგი)
უდო რაინჰოლდ იეკი (ბოხუმი)
თეიმურაზ საყვარელიძე (თბილისი)
რევაზ სირაძე (თბილისი)
ჯონ უილკინსონი (ლონდონი)
გურამ ყიფიანი (თბილისი)

კოორდინატორები:

ირინე გივიაშვილი
ზათუნა კაპანაძე
ნინო სილაგაძე
სოფიო ქებურია

გარეკანის მხატვარი

ელენე ქურდაძე

გარეკანის ილუსტრაცია:

ყინწვისი. წმ. ნიკოლოზის ეკლესია
(დაახ.1207წ.) მოხატულობის
ფრაგმენტი.

EDITORIAL BOARD:

Zaza Alexidze (Tbilisi)
Bruce Altshuler (New York)
Michael Bezhanishvili (Tbilisi)
Levan Gordeziani (Tbilisi)
Bernhard Waldenfels (Bochum)
Dimitri Tumanishvili (Tbilisi)
Christoph Jamme (Lüneburg)
Udo Reinhold Jeck (Bochum)
Teimuraz Sakvarelidze (Tbilisi)
Revaz Siradze (Tbilisi)
John Wilkinson (London)
Guram Kipiani (Tbilisi)

EDITORIAL ASSISTANTS:

Irina Giviashvili
Khatuna Kapanadze
Nino Silagadze
Sopio Keburia

COVER DESIGNER:

Helen Kurdadze

FRONT COVER ILLUSTRATION:

Qincvisi. Church of St. Nicholas
(c.1207) Detail of wall painting.

ნოდარ ბაკტაშვილი

სამონასტრო

Nodar Bakhtashvili

ნანა ბურჭულაძე

ქართული

Nana Burchuladze

of Georgian

ნინო გედევანიშვილი

1920-30

Nino Gedevanishvili

ირინე გივიაშვილი

Irine Giviashvili

Bernhard Waldenfels

ბერნჰარდ ვალდენფელსი

ირაკლი იაკობაშვილი

მოლვაწი

Irakli Iakobashvili

and Teimuraz

ზათუნა კაპანაძე

Khatuna Kapanadze

ქეთევან კინჭარაძე

Ketevan Kinkharadze

ირინე კოშორიძე

გამოცემის

Irine Koshoridze

of Temuridze

ლიანა მამალაძე

ხელოვნების

Liana Mamaladze

the Painter

ნინო მეტრეველი

ასპექტის

Nino Metreveli

პორტრეტი ღიმილთა პრინციპის უპირატესობაში

დ. ერისთავის მრავალფეროვან ინტერესებს შორის სწრაფვა ადამიანის ფენომენის შეცნობისაკენ ალბათ უპირველესია. მის ნამუშევრებში გარემო ადამიანის გარეშე არ არსებობს. ამ ორი საწყისის ჰარმონიული ურთიერთობის ფონზე მხატვარი ერთიანი სამყაროს თავისებურ მოდელს ქმნის. მას ამ სამყაროში უმთავრესად ადამიანის დანიშნულება, მისი როლი, დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ, განცდები და ხასიათები აინტერესებს. მრავალფეროვან კომპოზიციებშიც კი ყოველი პერსონაჟი დ. ერისთავის მიერ ინდივიდუალური სახასიათო ნიშნითაა აღბეჭდილი და კონკრეტული ხასიათის ტიპიზაციის საუკეთესო ნიმუშად გვევლინება. ადამიანის შინაგანი სამყარო ყველაზე უკეთ პორტრეტში აისახება. ალბათ ამიტომაც მოღვაწეობის დასაწყისიდან დღემდე დ. ერისთავმა პორტრეტების მთელი გაღერა შექმნა, სადაც მოდელის ოსტატისეული მხატვრული აღქმის თავისებურებები ნათლად წარმოჩნდება.

ადამიანის გარეგნულ იერსახეში ინდივიდუალური განუმეორებლობის ასახვა პორტრეტის უპირველესი ამოცანაა, რომელიც გარეგნული ლაკონური სქემიდან პორტრეტულ დახასიათებამდე ღრმავდება. დ. ერისთავი გრაფიკული ხელოვნების ფარგლებში თანამედროვეთა მხატვრულ სახეებს ქმნის. ყოველ პორტრეტში სახვითი საშუალებებისა და გამოსახვის ფორმების განუწყვეტელი ძიება თვალნათლივ აღიქმება. ამასთანავე, პორტრეტული დახასიათების სიზუსტე მკაფიო პლასტიკურ გადაწყვეტასთან და მყარ კონსტრუქციულ ფორმებთან მუდმივ დამოკიდებულებაშია. შტრიხისა და ხაზის ფორმა სურათებში დაუსრულებლად იცვლება. მხატვრულ-ფორმალური ხერხების მრავალფეროვნება და საინტერესო აღმოჩენები ამ სფეროში დ. ერისთავს მხატვრული სახის ხასიათის წარმოჩენაში ეხმარება. მოცულობითი პლასტიკა მხატვრის მიერ ახლებურადაა გაგებული და ახალი გამოცდილების, მხატვრული ხედვის და გრძნობათა ახალი დიაპაზონის შესატყვისი გრაფიკული გამომსახველობითაა გადმოცემული.

თანამედროვე ადამიანის ხვედრის ღრმა წვდომამ, ფსიქოლოგიური სიღრმეების წარმოჩენისადმი ინტერესმა პორტრეტების ხასიათი და მათი სტილისტიკა განსაზღვრა. მხატვრისათვის ფორმის გამომსახველობაა მთავარი, ვინაიდან მისი დამოკიდებულება პიროვნების მიმართ სწორედ ნახატში აისახება. ადამიანის შინაგანი სამყაროს ამოცნობა საკმაოდ რთულია. როგორც თვით დ. ერისთავი აღნიშნავს, პიროვნების სულიერ სამყაროსთან კონტაქტი თავისთავად, ინტუიციურად ხდება და იგი მთლიანად ენდობა ინტუიციას. ხასიათის გახსნისათვის ცალკეული ნაკვეთების უტრირებაზე ოსტატი წინასწარ არ ფიქრობს. მიუხედავად ამისა, მხატვრის უშუალო შთაბეჭდილებით შექმნილი ინდივიდუალური ხასიათის ადამიანთა პორტრეტები მოდელის შინაგან სამყაროსთან მისი დამოკიდებულებისა და გარეგნული იერსახის სინთეზის საუკეთესო ნიმუშებად გვევლინება.

დ. ერისთავის მიერ შექმნილი პორტრეტების სიმრავლეში ნათლად აისახება მხატვრის შემოქმედებითი ევოლუცია — სახვითი საშუალებებისადმი მისი დამოკიდებულება, მხატვრული ინტერესების მკვეთრი ცვლილება. აღსანიშნა-

ვია, რომ ეს დამახასიათებელი ნიშან-თვისებები განვითარების ყოველ ეტაპზე არა მარტო პორტრეტებისათვის, არამედ იგივე პერიოდში შექმნილი ყველა ნამუშევრისათვის საერთოა. მხატვრის მიერ შექმნილ პორტრეტებზე ყოველი პერსონაჟი ვერტიკალურ ფორმატზე მხრებამდეა გამოსახული. ამ მხრივ გამორჩეულია მხოლოდ ერთი, პოეტ კარლო კალაძის მხატვრული სახე, რომელიც ჰორიზონტალურ სასურათო სიბრტყეზეა მოცემული. ეს სურათი 1959 წელსაა შესრულებული და შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ადრეულია მხატვრის შემოქმედებაში. სურათის თითქმის მთელ ზედაპირზე პოეტის სახის ფრონტალური გამოსახულებაა მოცემული. უკვე აქ ნათლად იგრძნობა ხაზისა და შტრიხის არაჩვეულებრივი ფლობა, ასევე დაშტრიხვის ოსტატური მანერა. მხატვრული სახის ხასიათის გახსნას შუქ-ჩრდილის მკვეთრი მონაცვლეობით შექმნილი მოცულობითი ფორმებისა და ურთიერთსაპირისპიროდ მიმართული მეტყველი ხაზის აქტიური რითმი განსაზღვრავს. სტილისტურად კარლო კალაძის პორტრეტი დ. ერისთავის მიერ 70-იან წლებში შექმნილ მამაკაცთა პორტრეტებს ეხმიანება, სადაც ხასიათი ზედმიწევნით, რეალისტურად დამუშავებული სახეების გამოსახულებაში იკვეთება.

1960-იან წლებში შესრულებული დანარჩენი პორტრეტები დ. ერისთავის სრულიად განსხვავებულ ინტერესებს გამოავლენენ და თავისი ხასიათით ადრეული პერიოდის სხვა ჟანრის ნამუშევრებთან სიახლოვეს ამჟღავნებენ. ამ პერიოდის შემოქმედება საოცრად ამაღლებული სულის ნამუშევრებით გამოირჩევა, რომლებიც რომანტიკული და ლირიკული განწყობილებითაა გაჯერებული. პასტელის უნაზეს ფერთა გამა, ლოკალური ლაქები, ლაკონური, ზოგადი ფორმები, რომელთაც მოქნილი, დენადი პლასტიკური ხაზი შემოსაზღვრავს და მოცულობას ანიჭებს, ამ ნამუშევართა ამაღლებულ ხასიათს განსაზღვრავს. ნაზ, მსუბუქ ფორმებსა და რომანტიკულ სულს, როგორც ჩანს, დ. ერისთავი ახალგაზრდა ქალის ნატიფ გარეგნობაში და შინაგან სამყაროში ჰპოვებს. ალბათ ესაა მთავარი მიზეზი, რომ გამოსახულებებში გოგონებისა და ქალიშვილების ფიგურები ჭარბობს და პორტრეტებიც ძირითადად მათ მხატვრულ სახეებს ასახავს.

პორტრეტები, რომლებსაც დ. ერისთავის შემოქმედების ადრეულ პერიოდს მივაკუთვნებთ, უმეტესად თეთრ ფონზე შავი ფანქრის ან ტუმის საშუალებითაა შექმნილი. თუმცა, ისეთი ნიმუშებიც გვხვდება, სადაც სურათის მთელი ზედაპირი ფერადი ფანქრის, სანგინის ან პასტელის საშუალებითაა დაფარული.

ამ მხრივ საინტერესოა მანანა შენგელაიას პორტრეტი, რომელიც სიბოთი და სიცოცხლითაა სავსე, რასაც, პირველ რიგში, პასტელის ხალისიანი ფერების — ცისფრისა და ნარინჯისფრის სხვადასხვა ტონების ცხოველხატული თამაში განაპირობებს. თხელი, ნაზი სახის ნაკვეთი ზოგადი ფორმებითაა წარმოდგენილი, სადაც ფერთა ნატიფი გრადაციები, ცივი და თბილი ტონების მკვეთრი დაპირისპირება ფონისა და თმების დამუშავებისას, ასევე მსხვილი შტრიხების აქტიური რითმი კომპოზიციის ფერწერულ მომხიბვლელობას განსაზღვრავს.

ინესა ისაკაძის პორტრეტი თავისუფალი „ფერწერული“ მანერითაა შესრულებული, რაც სხვადასხვა ფერის ტემპერისა და ფერადი ფანქრების მუქი თბილი და ცივი ფერების დაპირისპირებაში, საინტერესო ფერადოვან ნიუანსებში აისახება. მხატვრული გადაწყვეტის თვალსაზრისით ეს ნამუშევარი დ. ერისთავის შემოქმედებაში გამორჩეულია, რადგანაც ანალოგი არ გააჩნია.

უნდა აღინიშნოს, რომ ფერად მასალაში შესრულებულ პორტრეტებს მხატვრის შემოქმედებაში მოგვიანებით, XXს-ის 80-იანი წლების ბოლოს კვლავ ვხვდებით, რომლებშიც ოსტატი მხატვრულ-ფორმალური საშუალებების განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს და მოცულობითი, პლასტიკური ფორმებისადმი უსაზღვრო ინტერესს გამოავლენს.

მანამდე კი, 1960 – 70-იან წლებში შემოქმედის დახვეწილი ოსტატობა მთელი სიციხადით შავი ფანქრისა თუ კალმის საშუალებით შექმნილ პორტრეტებში აისახა. გრაფიკის სახვითი საშუალებების უზადო ფლობა მხატვრის სურათების თავისთავადობის, მრავალფეროვნებისა და შინაგანი მიმზიდველობის განმსაზღვრელია.

XXს. ქართველ 50-იანელ მხატვართა შესახებ რუსულ თუ ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებში, ასევე უშუალოდ დ. ერისთავის შემოქმედებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სტატიებში ხშირად მოიხსენიებენ მხატვრის მიერ 60-იანი წლების დასაწყისში შექმნილ ახალგაზრდა, სილამაზით განთქმული ქალბატონების პორტრეტებს¹. ეს მხატვრული სახეები საზოგადოებას საკმაოდ კარგად ახსოვს. განზოგადებული, მარტივი, კლასიკური ფორმები, რომელნიც გამჭვირვალობით, სინაზითა და სირბილით გამოირჩევიან, დამუშავებისას საოცარ მომხიბვლელობას იძენენ. ამ ნამუშევრებში მხატვარი ხაზს, შტრიხს თითქმის არ იყენებს. ისინი მხოლოდ თვალთა გუგების აბრისის, თმების ხვეულებისა და წამწამების მოსანიშნად იხმარება. შესრულების ოსტატურ მანერას ტონების დახვეწილი გრადაცია განსაზღვრავს, რითაც მხატვარი შავ-თეთრ სურათზე არაჩვეულებრივი „ფერწერული“ ეფექტის შექმნას ახერხებს. ხორკლიან ქაღალდზე ფანქრით გაბუქებულ ადგილებს მხატვარი ბრტყელი საშლელით ამუშავებს. ქაღალდის წვრილი ხორკლები თეთრდება, ხოლო სიშავე სიღრმეში რჩება, რაც ერთდროულად მუქ ტონს ქმნის და ამავე დროს გამჭვირვალობას ანიჭებს მას. სურათის ზედაპირზე სინათლის სხივი ათამაშდება, რაც სიცოცხლით ავსებს კომპოზიციებს. საბოლოოდ კი, მხატვარი პოეტური განწყობილებით, ჰაეროვნებითა და არტიზტიზმით აღსავსე კომპოზიციებს წარმოგიდგენს, რომელთაც მიმზიდველობა დღესაც არ დაუკარგავთ.

ამგვარი ხასიათის ნამუშევრებს ღია გეგმავას (1959წ. ქაღ. ფან. 47X38), მანანა გედევანიშვილის (1961წ. ქაღ. ფან. 63X41), ნათელა ერისთავის (1962წ. ქაღ. ფან. 68X48), მანანა აბაზაძის (1963წ. ქაღ. ფან. 50X58), მარინე ქარცივაძის (1964წ. ქაღ. ფან. 56X48) პორტრეტები მიეკუთვნება.

დაკვირვებული თვალი ამ პორტრეტების კლასიკურ, აკადემიურ საფუძველს აღმოაჩენს, რომელიც დ. ერისთავმა ოსტატურად მიუსადაგა თანამედროვე გრაფიკული ხელოვნების სტილისტურ ნიშნებს.

აღნიშნული პერიოდის ნამუშევართათვის დ. ერისთავი მოდელს განსაკუთრებული, მომხიბვლელი გარეგნობის მიხედვით ირჩევს და ამ სილამაზეს გასაოცარი ოსტატობით რეალისტურად ასახავს.

„წერის“ განსხვავებული, რბილი, „ფერწერული“ მანერით გამოირჩევა ეთერ კიკნაძის (1967წ. ქაღ. ფან. 57X37) პორტრეტი. სინათლის გაზრდილი მნიშვნელობა პლასტიკურ ფორმას რეალურ საზღვრებს აკარგვინებს და საო-

¹ В.Беридзе. Н.Езерская. Искусство советской Грузии. 1921-1970г. Сов.художник 1975г. Н. Езерская. Трое из Грузии. Творчество. №10. 1960г.

მ. კერესელიძე, ქალაქის პოეზია, საბჭოთა ხელოვნება №11, 1977წ.

ბ. ჯანბერიძე, ძიება და ტრადიცია, თბილისი, 1989წ. გვ.25-26

ცარ სიმსუბუქეს სძენს, რაც იმპრესიონისტურ წერის მანერას მოგვაგონებს. ამავე დროს, „ფერწერული“ დამუშავება მხატვრული სახის განსაკუთრებული სულიერების ასახვას ემსახურება.

როგორც აღვნიშნეთ, დ. ერისთავი ხშირად ცვლის შესრულების მანერას, რაც მის შემოქმედებაში სახვითი საშუალებების მრავალფეროვნებას განსაზღვრავს. ეს ცვლილებები, როგორც ჩანს, თვით მოდელის გარეგნობასა და ხასიათზეა დამოკიდებული, ხოლო თვით მოდელს კი მხატვარი გარკვეული მხატვრული ინტერესების მიხედვით ირჩევს. მის ნამუშევრებში ოსტატისა და მოდელის ეს მუდმივი, ჰარმონიული ურთიერთდამოკიდებულება ნათლად აისახება.

1960-იან წლებში მხატვარი კვლავ აგრძელებს ქალბატონების მხატვრული სახეების შექმნას. ვერტიკალურ ფორმატზე მსხვილი პლანით კვლავ მხოლოდ თავის გამოსახულებებია მოცემული. თუმცა, როგორც ჩანს მხატვარს ახლა სახასიათო ნაკვთების თავისებურებათა ასახვა იზიდავს. მის ყურადღებას სახის განსაკუთრებული ფორმები იქცევს. სადა, ლაკონური, ოდნავ უტრირებული, გამჭვირვალე მოცულობითი ფორმები ფანქრის ურთიერთგადაძვეთი უწვრილესი შტრიხების საშუალებით შექმნილი შუქ-ჩრდილის ლაქების აქტიურ მონაცვლეობაში იკვეთება. ფორმათა მხატვრული განზოგადება სახეთა მნიშვნელოვნებას განსაზღვრავს, ხოლო სინათლის გაზრდილი მნიშვნელობა კი კომპოზიციების სიმსუბუქესა და დამუშავების ფერწერულ მანერას განაპირობებს. ამგვარი მხატვრული გადაწყვეტით ირინა ვოლჩეკის (1968წ. ქაღ. ფან. 37X25) და იზა ორჯონიკიძის (1968წ. ქაღ. ფან. 40X30) პორტრეტები გამოირჩევიან.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მხატვრული ხერხი, რაც დ. ერისთავის მიერ იქნა გამოყენებული. მხატვრი შუქ-ჩრდილოვანი მოდელირების განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. ამოწეულ ადგილებს იგი მუქი ლაქებით ამუშავებს, რომელთაც ხალვათად დაშტრიხულ ღია არეებს – სახის ჩაზნექილ ნაწილებს უპირისპირებს. სინათლისა და ჩრდილის ამგვარი გადანაწილება მხატვრულ სახეს სერიოზული საშიშროების წინაშე აყენებს, რათა გრაფიკული სურათი ფოტონეგატივს არ დაემსგავსოს. თუმცა, ოსტატურად დაცული ზომიერებით დ. ერისთავი ნამუშევრებში საინტერესო მხატვრულ ეფექტს აღწევს. სურათის ზედაპირზე ურთიერთგადაძვეთი შტრიხებით შექმნილი ფორმები სიმაგრეს იძენენ და მოცულობას რეალისტურ დამაჯერებლობას ანიჭებენ, რითაც გრაფიკული ნახატი ქვაში გამოკვეთილ ქანდაკებას ემსგავსება. აღსანიშნავია, რომ ამგვარი მხატვრული გადაწყვეტა არა მარტო მყარი ფორმის, არამედ მტკიცე ხასიათის შექმნასაც ემსახურება.

დავაკვირდეთ თუნდაც ბერძენი ქალის (1971წ. ქაღ. ფან. 45X37) ან მარინა მაჭავარიანის (1973 წ. ქაღ. ფან. 73X64) პორტრეტებს. ფორმათა მოდელირების ნაცად ხერხს დ. ერისთავი ამ ნამუშევრებშიც წარმატებულად იყენებს. მხატვარი ფორმას შუქ-ჩრდილის კონტრასტული დაპირისპირებით ძერწავს, გამოკვეთს მოცულობას, რაც თვით მოდელის ხასიათს ეხმიანება. დ. ერისთავი ყურადღებას აქაც სახის ფორმის თავისებურებებზე ამახვილებს და მოდელის მისეულ, სუბიექტურ აღქმას გვთავაზობს, სადაც, რასაკვირველია, რეალური გარეგნული ნიშნები მთელი სიცხადითაა ასახული. მხატვრის რომანტიკულ დამოკიდებულებას გამოსახვის ობიექტისადმი, ღირიზმს, ჰაეროვნებასა და გამჭვირვალობას შავისა და თეთრის კონტრასტებით შექმნილი მოცულობითი გამოსახულებების მონუმენტური, მკაცრი მხატვრული ხასიათები ცვლის, ხოლო ფორმა კი სკულპტურული ხდება.

მარინა მაჭავარიანის ხასიათს მოცულობითი ფორმების მკვეთრ მონაცვლეობასთან ერთად სხვადასხვა ფორმისა და ზომის შტრიხებით სკურუპულოზურად დამუშავებული ფაფუკი, ხვეული, გრძელი თმის დეკორატიული გამოსახულება თავისებურ გამომსახველობას ანიჭებს.

ამ პორტრეტების გამოძახილს მოგვიანებით, 1979-80-იან წლებში შექმნილ ქალთა სახეებში ვხვდებით. შესრულების მანერით, მოცულობითი ფორმების გაზრდილი მნიშვნელობით, თუნდაც შუქ-ჩრდილის აღნიშნული ინტერპრეტაციით და მხატვრული სახის მკაცრი ხასიათით თეთრ ფონზე შავი ფანქრით შესრულებული პორტრეტები მათთან საოცარ სიახლოვეს ამჟღავნებენ.²

ასევე შეიძლება ითქვას, რომ ფორმალური გადაწყვეტითა და მხატვრული ხასიათით ეს ორი პორტრეტი 70-იან წლებში დ. ერისთავის მიერ შექმნილ მამაკაცთა პორტრეტებს ეხმიანება, რომლებშიც რომაული პორტრეტული ხელოვნებისადმი მხატვრის ინტერესი შეინიშნება, რაც რეალისტურად გადმოცემული დაჭიმული სახის ზედმიწევნით დამუშავებულ გამოსახულებებში აისახება. ფორმათა ექსპრესიული დამუშავების მანერა პლასტიკური მოცულობების ენერგიულ მოდელირებასთან ჰარმონიულადაა შერწყმული და მთლიანობაში მოდელის განუმეორებელ გარეგნულ ნიშნებსა და ხასიათებს წარმოგვიდგენს. ფსიქოლოგიური დრამატიზმი, ფარული მღელვარება თეთრისა და შავის დაპირისპირებით შექმნილი შუქ-ჩრდილის მკვეთრ მონაცვლეობასა და კომპოზიციის მოძრავ ხაზოვან რიტმში იკვეთება. აღსანიშნავია, რომ ფორმალური ხერხების გარდა თვით ტიპაჟიც კი თავისი ჰაბიტუსით რომაული პორტრეტების პერსონაჟებს მოგვაგონებენ. აქაც თავს იჩენს ოსტატის მხატვრულ ინტერესებსა და მოდელს შორის ჰარმონიული ურთიერთდამოკიდებულება. შესაძლოა თვით გამოსახვის ობიექტმა უკარნახა მხატვარს მკვეთრ, მუქ ფორმებზე გადასულიყო, რათა ძლიერი ხასიათების წარმოსაჩენად მყარი, დამაჯერებელი მოცულობითი ფორმა გამოეყენებინა, ან პირიქით, განსხვავებული სახითი საშუალებები მამაკაცის გარეგნობასა და ხასიათებს უფრო მიესადაგებოდა. თუ მშვენიერებისა და რომანტიკული სულის წარმოსაჩენად დ. ერისთავი მოდელად თანამედროვეთა შორის მსგავსი ნიშნებით აღბეჭდილ მანდილოსნებს ირჩევდა, რომელთა გარეგნობასა და ხასიათებს გრაფიკული ტექნიკის დახვეწილი ოსტატობით შეულამაზებლად ასახავდა, ახლა ადამიანის ფსიქოლოგიური სიღრმეების აღმოჩენას იგი შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებში ცდილობს. დამუშავების მსგავსი მანერით ხასიათდება რეზო ამაშუკელის (1973წ. ქალ. ფან. 50x34), გივი გეგეჭკორის (1976წ. ქალ. ფან. 45x34), მირიან აბულაძის (1977წ. ქალ. ფან. 60x47) თეთრ ფონზე შავი ფანქრის საშუალებით შექმნილი პორტრეტები.

„წერის“ სრულიად განსხვავებულ, თავისუფალ მანერას ვხვდებით შავი ტუშითა და კალმით შესრულებულ პორტრეტებზე. შავი, სხვადასხვა მხარეს მიმართული, განსხვავებული ფორმისა და ზომის უხეში შტრიხების დაპირისპირებით თეთრ ფონთან დ. ერისთავი მხატვრულ სახეებს საოცარ ექსპრესიულ გამომსახველობას ანიჭებს. ომარ ლორთქიფანიძის (1975წ. ქალ. კალამი 35X28) და ივორ ამასიისკის (1978წ. ქალ. კალამი 58X44), (სურ.1.) პორტრეტები ამ მხრივ პორტრეტული დახასიათების მნიშვნელოვან ნიმუშებად შეიძლება მივიჩნიოთ.

² მსგავსი ხასიათის პორტრეტებს განეკუთვნებიან: ნანა აბრამიშვილის პორტრეტი (1979წ.), ნინო მამასახლისის პორტრეტი (1980წ.), ბაღერინას პორტრეტი (1980წ.), ქეთინოს პორტრეტი (1980წ.).

ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ერთად ღრმავდება დ. ერისთავის ინტერესები, იზრდება მისი ოსტატობა. ხაზისა და შტრიხის არაჩვეულებრივი შეგრძნება და ვირტუოზული ფლობა მხატვრის ტექნიკური შესაძლებლობების მრავალფეროვნებაში კლინდება. პიროვნების განუმეორებლობის ასახვისას მხატვრის სუბიექტური ხედვა შეინიშნება. ყოველ განსხვავებულ ხასიათს იგი შესატყვის გრაფიკულ ტექნიკას უძებნის და ხან მკვეთრად სკულპტურული, ხანაც ფერწერული თუ გრაფიკული მანერით შთამბეჭდავ მხატვრულ სახეებს ქმნის.

80-იან წლებში შესრულებული პორტრეტები ამ მხრივ არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მხატვრული ენითა და ოსტატობით ეს პორტრეტები ადრეულ ნამუშევრებთან სიახლოვეს ამჟღავნებენ, თუმცა გარკვეული ტექნიკური სიახლეები თვალნათლივ შეინიშნება. მხატვრული სახის ხასიათის შუქ-ჩრდილის მკვეთრი დაპირისპირებით შექმნილი მოცულობების ექსპრესიული, სკულპტურული დამუშავება განსაზღვრავს, რაც გამომსახველობას ანიჭებს მათ. შავი, მოკლე შტრიხების სუფთა წყობა მუქი, კუთხოვანი ლაქების შესაქმნელად გამოიყენება, რომელსაც სრულიად თეთრი, ან ხალვათად დაშტრიხული ნათელი არეები უპირისპირდება. მათი მკვეთრი და, რაც მთავარია, ოსტატური მონაცვლეობით მხატვარი ზედმიწევნით ამუშავებს სახის ნაკვთებს, განსაკუთრებით კი ღრმა ნაოჭებს თვალებთან და ლოყებზე. ასევე რეალისტურად, ყოველგვარი შელამაზებისა და იდეალიზაციის გარეშე ასახავს მოდელის გარეგნულ, სახასიათო ნიშნებს, რომლებიც მხატვრული სახის თავისთავადობას განსაზღვრავენ. უხვი შუქი ეფინება შუბლის უშუალოდ ცენტრალურ ნაწილს, თვალებს და ცხვირს. ამ მკვეთრად გაღიათფერებულ მონაკვეთს ინტენსიურად დაშტრიხული და თანდათან სრულად ჩამუქებული არეები უპირისპირდება, რითაც მხატვარი მოცულობით ფორმას განსაკუთრებულ გამომსახველობას ანიჭებს და გრაფიკული ნამუშევრები მრგვალი ქანდაკების ნიმუშებს ემსგავსებიან. გარდა ამისა, განათების მსგავსი გადანაწილება და პორტრეტების შესაქმნელად გამოყენებული ყოველი ზემოთ აღნიშნული მხატვრული ხერხი, მთლიანობაში კონკრეტული პიროვნების ემოციურ დაძაბულობას და ძლიერ ხასიათებს ასახავს. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი პერსონაჟის თვალებში ცხოვრებისეული კონფლიქტებისა და სირთულეების გამოძახილს ვხვდებით. ამ დახასიათებას სავესებით შეესატყვისება მიხეილ ლოხვიცკის (1987წ. ქად. ფერ. ფან. 66X45) (სურ.2), ვახტანგ ჯალაღანიას (1987წ. ქად. ფერ. ფან. 68X49) ფერადი პორტრეტები და 1982 წელს შესრულებული ვახტანგ გეგელიას (65X43) შავი ფანქრით შექმნილი მხატვრული სახე.

მუქი ყავისფერი, ნარინჯისფერი და მწვანე ფანქრის შტრიხებით ოსტატურად მოდელირებული მიხეილ ლოხვიცკის სახე აბსოლუტურად ნეიტრალურ, თეთრ ფონზეა მოცემული, რაც ძლიერ ექსპრესიულ გამომსახველობას ანიჭებს მას. რეალისტური ფორმებითა და ხასიათის ფსიქოლოგიური სიღრმეების წვდომით ეს პორტრეტი რომაული რეალისტური პორტრეტული ქანდაკების საუკეთესო ნიმუშებს – იულიუს კეისრისა თუ ვესპასიანეს გამოსახულებებს შეიძლება შევადაროთ.

ღრმა, უხეში ნაოჭების მოურიდელები ასახვა ვახტანგ ჯალაღანიას სახეზე ხასიათის სიმტკიცეს და ძლიერ ემოციურ განწყობას წარმოაჩენს. თუმცა, თვალებში ასახული სევდა, ასევე ღია ცისფერი ფონი და, საერთოდ, სურათის ნათელი კოლორიტი მხატვრული სახის ხასიათში მძაფრი დრამატიზმის შეგრძნებას ასუსტებს.

აღსანიშნავია, რომ ამ პორტრეტებში ფანქრის ფერადი შტრიხებისა და

ფერადოვანი ლაქების გამოყენება მხატვარმა ოსტატურად მიუსადაგა „წერის“ მკვეთრად გამოხატულ გრაფიკულ მანერას. ფერადოვანი ნიუანსები ზოგიერთ შემთხვევაში გრაფიკულ გამომსახველობას აძლიერებენ, ვახტანგ ჯალალანიას პორტრეტში კი პასტელური ბაცი ფერები გარკვეულად არბილებენ მხატვრული ხასიათის ემოციურ ჟღერადობას და მხატვრული სახის ჭეშმარიტი სულიერი მდგომარეობის ზუსტ წარმოჩენას ემსახურებიან.

პლასტიკური ფორმების განსაკუთრებული გამომსახველობა შეიგრძნობა მხატვრის მეუღლის ნათელა ერისთავის (1987წ. ქალ. ფერ. ფან. 49X36) (სურ.3) გვიანდელ პორტრეტზე, გაღიათფერებული ტონების ურბილეს გრადიაში, შუქ-ჩრდილის მეტყველ მონაცვლეობას რომ ასახავს, ქალის კლასიკური პროფილი იკვეთება. ფორმათა რბილი მოდელირება პორტრეტულ დამაჯერებლობასთან ერთად სულიერი სამყაროს წინა პლანზე წამოწევას ემსახურება.

თაკო ჭილაძის (1989წ. ქალ. ფან. 63X39) (სურ.4) მხატვრულ სახეში კი, რომელიც ნათელა ერისთავის პორტრეტისაგან მხატვრულ-ფორმალური გადაწყვეტით სრულიად განსხვავდება, მხატვრული სახის შთამბეჭდავ ხასიათს შავი და თეთრი ლაქების მკვეთრი კონტრასტი განსაზღვრავს. სახის გაღიათფერებულ ცენტრალურ სამკუთხა არეზე ქაღალდზე ფანქრის ოდნავი შეხებით მიღებული რბილი შტრიხების მონაცვლეობაში მთავარი ფორმები იკვეთება. შუქ-ჩრდილის მკვეთრი მონაცვლეობა მხატვრული სახის ემოციური მდგომარეობის, გარკვეული განწყობილების ასახვას ემსახურება.

მღელვარე განწყობილებით, უფრო მეტიც, ექსპრესიული ფსიქოლოგიზმითაა აღბეჭდილი გია ეძგერაძის (1985წ. ქალ. ფან. 59X40) მხატვრული სახე. ხისტი შტრიხების ურთიერთობით თეთრ ფონთან მოცულობითი ფორმები იკვეთება და ნატურის რეალისტურად მოდელირებული სკულპტურული გამოსახულება იქმნება. მხატვრული სახის შინაგან დახასიათებას წვერისა და თმის გამოსახულება კიდევ უფრო აძლიერებს. წვერის ხისტი, მოკლე შტრიხები მოდელის შინაგან დაძაბულობას ეხმიანება, ხოლო ხვეული თმის ოსტატური დამუშავება კი, უნებლიედ რომაულ პორტრეტში ასახული ხვეული თმის ვარცხნილობის დეკორატიულ დამუშავებას რომ მოგვაგონებს, შავი შტრიხებით შექმნილ ენერგიულ ნახატში შერეული უწვრილესი, მეტყველი თეთრი ხაზით ექსპრესიულ განწყობილებას ქმნის და მხატვრული სახის ფსიქოლოგიურ დრამატიზმს აძლიერებს.

და ბოლოს, ერთ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ უკანასკნელ ხანს წითელი სანგინით შესრულებული მამაკაცის სამი პორტრეტი, რომლებიც შესრულების მანერით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რაც კვლავ ცალკეული პიროვნების ინდივიდუალური, თავისთავადი ხასიათით არის გაპირობებული. ესენია თამაზ ჩხენკელის (2000წ. ქალ. პასტელი 51X37) (სურ.5) და ვახტანგ ჟღენტის (2002წ. ქალ. სანგინა 51X34) მხატვრული სახეები და მხატვრის ავტოპორტრეტი (1994წ. ქალ. სანგინა) (სურ.6).

საინტერესოა, რომ ამ ნამუშევრებისათვის მხატვარი ქაღალდს სპეციალურად ფაქტურის მიხედვით ირჩევს, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ნახატის შესრულების მანერას. ქაღალდის ხორკლიან ზედაპირზე სანგინისა თუ პასტელის შტრიხებით დატანილი ფერი ქაღალდის სიღრმეში არ ჩადის და მხოლოდ ხორკლებზე რჩება. ამგვარად, მუქი და ღია წერტილების დაუსრულებელი მონაცვლეობა სურათის ზედაპირზე ბრინჯაოს მასალის მსგავს ათინათებს იძლევა. ამას ემატება მცირე ლაქების ოდნავი გაღიათფერება და ჩამუქება, რომელთა კონტრასტები ოსტატურად დამუშავებულ მოცულობით ფორმებს

გამოკვეთს. მსგავსი „სკულპტურული“ ძეგლს განზოგადებულ მოცულობიან ფორმას ქმნის, რაც, თავის მხრივ, მხატვრული ხასიათის სიძლიერეს ზრდის. ეს სურათები, ისევე როგორც ბოლო ხანს შექმნილი მხატვრული სახეების უმეტესობა, რომაული რეალისტური პორტრეტული ნიმუშებისათვის დამახასიათებელი გამომსახველი, ექსპრესიული, მკვეთრი, სკულპტურული ფორმებისადმი და შინაგანი სამყაროს დრამატიზმის წარმოჩენისადმი მხატვრის უსაზღვრო ინტერესს გამოავლენენ.

განსხვავებული ფორმალური დამუშავებით გამოირჩევა მხატვრის ავტოპორტრეტი. გარკვეული სივრცული გარემოდან სურათის ზედაპირზე მამაკაცის სახის ოვალური გამოიკვეთება. შესრულების მანერა არაჩვეულებრივი „ფერწერულობით“ გამოირჩევა. რბილი, მსხვილი შტრიხებით შექმნილი შუქისა და ჩრდილის „ფერწერული“ მონაცვლეობა რბილ, პლასტიკურ ფორმას ქმნის. სინათლის ოსტატური, „ფერწერული“ გადანაწილება რეალურ მოცულობებს სიმკვეთრეს აკარგვინებს, რაც მხატვრის დრმა შინაგანი სამყაროს წარმოჩენას განსაზღვრავს. წინა ორ პორტრეტთან შედარებით, სადაც ნათლადაა გამოკვეთილი მხატვრული სახის კონკრეტული ხასიათი, ავტოპორტრეტში აღნიშნული შესრულების მანერიდან გამომდინარე, მეტ მნიშვნელობას იძენს შინაგანი სამყაროს ფსიქოლოგიური სიღრმეებისა და მხატვრული სახის ამოუცნობი, მრავალპლანიანი ხასიათის ჩვენება.

როგორც განხილულმა ნამუშევრებმა გვიჩვენა, დ. ერისთავმა უზადო ნიჭიერების, დახვეწილი, მრავალფეროვანი გრაფიკული ტექნიკისა და ხაზისა და შტრიხის უტყუარი შინაგანი შეგრძნების საშუალებით პორტრეტული ხასიათების მდიდარი გალერეა შექმნა. აღსანიშნავია, რომ ყოველი პორტრეტული კომპოზიციის მხატვრული გადაწყვეტის ძირითადი იმპულსი ოსტატისათვის თვით მოდელია. სუბიექტური აღქმის საფუძველზე იგი მოდელის გარეგნობისა და ხასიათის შესაბამის გრაფიკულ ტექნიკას ირჩევს და შთამბეჭდავ სახეებს ქმნის, რაშიც მისი, როგორც პორტრეტისტის ოსტატობა, ასევე დაკვირვებული თვალი და ადამიანთა შეცნობის შესაშური უნარი ვლინდება.

NINO KHUNDADZE

THE PORTRAIT IN DIMITRI ERISTAVI'S ART

Abstract

The Georgian artist D. Eristavi, the so called "shetidesiatnik," the man who belonged to the generation of the 1960s, had various interests. His attempt to understand the phenomenon of man, was evidently one which had priority, and has influenced a number of portrait compositions. With talent made very clear by his exquisite diversified drawing techniques, and with a true feeling of line and stroke, the artist reproduces an individual in all his uniqueness. The artist's subjective vision is manifested with all its due effects. D. Eristavi seeks the appropriate drawing technique for every character. Sometimes he does it by a strictly "sculptural" technique, and at other times he uses a "painting" or drawing manner. In either case he creates impressive images. The variety in the artist's drawing technique of the artist is clearly reflected in the endless replacement of artistic and compositional means. These changes all depend on the appearance and character of the model, and in turn this model has been chosen by the artist on the basis of certain artistic interests. This permanent harmonic relationship between the artist and model in his works is evident.

A great number of portraits created by D. Eristavi evidently reflect the artist's creative evolution - his attitude to the decorative means, and the drastic change of his artistic interests. It is also to be noted that these distinctive features at every stage of development are one and the same not only for the portraits but for all works created during the same period.

At all stages of development of D. Eristavi's art we may note a certain interest of the artist in various periods of the classic art. In the portrait compositions the portrait-painters skills are clearly revealed the attentive look, and the clear perception of a man, which one can only envy.



სურ. 5. თამაზ ჩხენკელის პორტრეტი
Fig. 5. Portret of T. Chkhenkeli



სურ. 6. ავტოპორტრეტი
Fig. 6. Self-Portret



სურ. 1. იგორ ამასიისკის პორტრეტი
Fig. 1. Portret of I. Amasiiskii



სურ. 2. მიხეილ ლოხვიცკის პორტრეტი
Fig. 2. Portret of M. Lokhvitski



სურ. 3. ნათელა ერისთავის პორტრეტი
Fig. 3. Portret of N. Eristavi



სურ. 4. თაკო ჯილასძის პორტრეტი
Fig. 4. Portret of Tako Djilasze